ხელშეკრულება №04-01-2/13

ქ. თბილისი 4 იანვარი, 2013 წელი

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური“** (შემდგომში *„შემსყიდველი“*), წარმოდგენილი მისი უფროსის მიხეილ როინიშვილის სახით

და მეორე მხრივ, *შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს”* (შემდგომში – *„მიმწოდებელი“*), წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *შემსყიდველის* მიერ 1.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა.

1.2. საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა „კოდექსის“ (შემდგომში „კოდექსი“) (ერთი ქსელური ვერსია და ერთი ინდივიდუალური ვერსია Notebook-ისათვის) მონაცემთა ბაზით გადაცემა ისე, რომ იგი მისაწვდომი იყოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრული მომხმარებლისათვის.

1.2. „კოდექსი“ რეალიზებულია ოპერაციულ სისტემა WINDOWS-2000\XP\-ში.

1.3. „კოდექსი“ მოიცავს 2013 წლის მიმდინარე თარიღისათვის მიღებულ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებს, ასევე არანორმატიული ხასიათის სამართლებრივ აქტებს (დადგენილებებს, მითითებებს, წერილებს, ფოსტოგრამებს და ა.შ.).

1.4. ინფორმაციული ბაზის მოცულობა ხელმოწერის დღისათვის შეადგენს 7248 მეგაბაიტს. ბაზის მოცულობა პერიოდულად გაიზრდება 5.1. პუნქტის გათვალისწინებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. *შემსყიდველს* ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი *მიმწოდებლის* მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2. *მიმწოდებელი* ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.3 ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებულ ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი თამარ კალანდაძე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. *მიმწოდებელმა* შესყიდვის ობიექტების *შემსყიდველისათვის* მიწოდება უნდა განახორციელოს 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტები ან მათი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ ყოველთვიურად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტების მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია *შემსყიდველის* ფაქტიური მისამართი.

3.3. შესყიდვის ობიექტების (მათი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს *მიმწოდებელი.*

3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირად განისაზღვროს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი თამარ კალანდაძე.

3.5 *შემსყიდველი* ვალდებულია დროულად აცნობოს *მიმწოდებელს* საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაურიცხოს მის საბანკო ანგარიშზე ყოველი კვარტლის ბოლოს, წელიწადში 4-ჯერ 150-00 ლარი (ას ორმოცდაათი ლარი) უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.3 შემსყიდველს უფლება აქვს გამოქვითოს შესაბამისი თანხა იმ პერიოდისათვის, როდესაც ვერ ხორციელდება მომსახურება, ან ხორცილედება სერიოზული ხარვეზებით.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს „კოდექსის" ინფორმაციული განახლება (ინტერნეტით ან კურიერული ფორმით) არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.3. პუნქტში მითითებული ახალი ნორმატიული და სხვა სამართლებრივი აქტების მიღების შესაბამისად.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას „კოდექსი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შეუფერხებლად ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა მოახდინოს შემსყიდველის მიერ გაკეთებული ყოველი შეტყობინების მიღებისთანავე (მათ შორის სატელეფონო შეტყობინების მიღებისთანავე), ხოლო ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში – ამ გარემოებების აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში.

5.5 შემსყიდველი ვალდებულია გადახდა აწარმოოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, სრულად და დროულად.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. *მიმწოდებლის* მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. *შემსყიდველის* მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, *მიმწოდებელი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური“	შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“
მის.: ქ. თბილისი, ლეონიძის №3/5 საიდენტიფიკაციო კოდი: 204447330	მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №2 საიდენტიფიკაციო კოდი: 202268517
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი ა/ანგარიში: GE28NB0340800000609322 ბანკის კოდი: BNLNGE22	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს “პროკრედიტბანკი” ა/ანგარიში: GE40PC0293600100008969 ბანკის კოდი: MIBGGE22
საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი მიხეილ როინიშვილი	დირექტორი არჩილ მაისურაძე